ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7972509

ნომერი: AR11141657

თარიღი : 12.06.2026

გაცემის თარიღი : 22.06.2026

გაცნობის თარიღი : 22.06.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ირინე სხირტლაძის , N 2, გამზირი ალ. ყაზბეგი , N34ა -ს მიმდებარედ,გამზირი ალექსანდრე ყაზბეგის , N 34გ მიმდებარედ, გამზირი ალექსანდრე ყაზბეგის , N 34 მიმდებარედ, ალ. ყაზბეგის გამზ. N34-ის ეზოში , N101 საშუალო სკოლის აღმოსავლეთით;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ძიძიკაშვილი პ/ნ 12001092336
- თბილისი ლილოს დას. I მ/რ კორ. 15 ბ. 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  დემონტაჟი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლიც ეხება ქალაქი თბილისი , ქუჩა ირინე სხირტლაძის , N 2, გამზირი ალ. ყაზბეგი , N34ა
-ს მიმდებარედ,გამზირი ალექსანდრე ყაზბეგის , N 34გ მიმდებარედ, გამზირი
ალექსანდრე ყაზბეგის , N 34 მიმდებარედ, ალ. ყაზბეგის გამზ. N34-ის ეზოში , N101
საშუალო სკოლის აღმოსავლეთით, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, I კლასის შენობას 05/1-ის დემონტაჟს და ახალი I კლასის (დამხმარე-მონიტორინგი და უსაფრთხოება) შენობის განთავსებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.
მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების დანართი 1-ის თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (საკადასტრო მონაცემები N 01.14.03.042.426 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. N 882023258631 23/03/2023 წ; არსებული ფოტო, ფოტომონტაჟი, ესკიზური ნახაზი.) ქალაქგეგმარებით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქალაქი თბილისი , ქუჩა ირინე სხირტლაძის , N 2, გამზირი ალ. ყაზბეგი , N34ა
-ს მიმდებარედ,გამზირი ალექსანდრე ყაზბეგის , N 34გ მიმდებარედ, გამზირი
ალექსანდრე ყაზბეგის , N 34 მიმდებარედ, ალ. ყაზბეგის გამზ. N34-ის ეზოში , N101
საშუალო სკოლის აღმოსავლეთით, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, I კლასის შენობას 05/1-ის დემონტაჟს და ახალი I კლასის (დამხმარე-მონიტორინგი და უსაფრთხოება) შენობის განთავსების შესაძლებლობას.
ამასთან, შენობა–ნაგებობების მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.